



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო  
 სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 80

„29“ ნოემბერი 2013 წ.

მ. თბილისი

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ფინანსურ-ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის, ასმათ ჯელიასათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 10 სექტემბრის №53 ბრძანებაში ცვლილების შესახებ


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 37-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 25 აპრილის N052 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დებულების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

შევიდეს ცვლილება „ფინანსურ-ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის, ასმათ ჯელიასათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 10 სექტემბრის №53 ბრძანებაში, და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ელექტრონული ფორმით გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი საქმისმწარმოებლის მოვალეობის შემსრულებელი, ასმათ ჯელია.
2. ასმათ ჯელიას არყოფნის შემთხვევაში, წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურისტის მოვალეობის შემსრულებელს, დავით ონიანს.
3. დაევალოს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისა და უფლებამოსილი სამსახურებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. წინამდებარე ბრძანება გაცნობიდან ერთ თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).
5. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ცენტრის უფროსი



რატი ბრეგაძე